საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6404/01
08/07/2020

6404-01-2-202007081404

შპს „მრეწველობა 2020-ს“

მის: გურჯაანის რაიონი, სოფ. ველისციხე, 42–ე ქ., N 2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 2 ივლისის № 9967 წერილი, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახაშენში, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმებითა და საწარმოს გენ-გეგმის შედარებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი საასენიზაციო ორმო მდებარეობს მდ. ჭერმისხევის კალაპოტიდან დაახლოებით 10 მეტრის დაშორებით, შესაბამისად საჭიროა აღნიშნული ობიექტი გადატანილ იქნას მდინარის წყალდაცვითი ზოლის ფარგლებს გარეთ, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია უნდა აისახოს სკრინინგის განცხადებაში;
- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული ნაკვეთის ცენტრში მითითებული კოორდინატი: X 533370, Y 4627850 არ შეესაბამება დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორიას და ხვდება თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ქისისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარიდან 130 მეტრში. აღნიშნული საჭიროებს შესწორებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო არეალიდან დაშორებულია 0.7 კმ-ით, თუმცა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ 500 მეტრის რადიუსში არსებობს არაერთი დასახლებული პუნქტი, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 109 მეტრში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო ხმაურის გავრცელების და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხები წარმოდგენილი უნდა იქნას უახლოესი საცხოვრებელი სახლის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ინერტული მასალის გადასამუშავებლად და მუშა პერსონალის საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის, საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს წყლის ახალი ჭაბურღილი, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ჭაბურღილის GPS კოორდინატები. ასევე, არ არის წარმოდგენილი წყლის ჩაშვების GPS კოორდინატები;

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წელიწადში დაგეგმილია 48 000 ტ ქვიშა-ხრეშის გადამუშავება. აღნიშნული რაოდენობიდან: 42 240 ტ ქვიშა-ღორღი მიიღება, ატმოსფეროში გაიფრქვევა 0.864 ტ, ხოლო 3 600 ტ დაგროვდება მექანიკურ გამწმენდში, ნედლეულის მოცულობიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდში დაგროვილი ნარჩენის მოცულობა;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქმიანობა იგეგმება 1978 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 51.08.57.129). თუმცა, ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1798 m^2-ს, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწორებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „ქვიშა-ხრეშის მოპოვებისათვის ლიცენზიის ასაღებად შეტანილი იქნება განაცხადი წიაღის ეროვნულ სააგენტოში“, ხოლო მესამე გვერდზე აღნიშნულია, რომ: „ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიის ასაღებად წიაღის ეროვნულ სააგენტოში გაკეთებულია განაცხადი“. აღნიშნული ურთიერთგამომრიცხავია და საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული და სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე